2023 წლის 4 აპრილს, **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** პოლიტიკის მეცნიერებებისა და **ჟან მონეს პროგრამის პროფესორმა კორნელი კაკაჩიამ,** თავისი ახალი კურსის **"საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაცია"** ფარგლებში, საქართველოში შვედეთის ელჩს ბატონ ულრიკ ტიდესტრომს უნივერსიტეტში უმასპინძლა. ბატონი ტიდესტრომი პოლიტიკის მიმართულების ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს შეხვდა და მათ ევროკავშირის საბჭოს შვედეთის თავმჯდომარეობის ფარგლებში ქვეყნის პრიორიტეტების, შვედეთ-საქართველოს შორის ურთიერთობებისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივებზე ესაუბრა.

შეხვედრა ჟან მონეს პროექტის **"საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაციის გაძლიერება"** (Enhancing Europeanization of Georgia's foreign policy - GEHANCEEU) ფარგლებში გაიმართა. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევროპეიზაციის კვლევის ხელშეწყობას ახალგაზრდებს შორის ევროკავშირისა და საქართველოს ევროპული პერსპექტივის შესახებ ცნობიერების ამაღლების, მონაწილეობაზე დამყარებული კვლევის ხელშეწყობისა და ქართულ საზოგადოებაში აღნიშნულ საკითხებზე აქტიური დისკუსიის წახალისების გზით.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში გამოხატული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის ან ევროპის განათლებისა და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს (EACEA) ოფიციალურ პოზიციას.

ევროკავშირი
საქართველოსთვის